



ქ. ბათუმი

N 15  
28/02/2019

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

15-15-4-201902281857



**ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი“ ქვეპროგრამით „საცხოვრებელი სახლების მშენებლობა“ გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლით („ხელმისაწვდომი საცხოვრისით“) სარგებლობის კრიტერიუმები - დანართი N1 და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტი - დანართი N2.

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს, ხელმისაწვდომი საცხოვრისით მოსარგებლეთა შერჩევის პროცესის დაწყების მიზნით, წინამდებარე განკარგულებით დამტკიცებული კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის მიხედვით, უზრუნველყოს შემდგომი პროცედურების განხორციელება - დაინტერესებულ პირთა განცხადებების მიღების, განხილვის, ბენეფიციართა შერჩევის და ბენეფიციარებისთვის საცხოვრებელი ბინების გადაცემის მარეგულირებელი შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (აქტების) პროექტის (პროექტების) მომზადება და უახლოეს პერიოდში საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარმოადგენა.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულიკო თებიძე

საკრებულოს თავმჯდომარე



ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო



**„ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ კრიტერიუმები**

**1. ზოგიერთი ცნების განმარტება**

**ა) ხელმისაწვდომი საცხოვრისი** - იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინა მრავალსართულიან კორპუსში ქ. ბათუმის ტერიტორიაზე, რომელსაც ქ. ბათუმის მერია გადასცემს შერჩეულ ოჯახებს, 15 წლის განმავლობაში ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვის და ბინის საბოლოო გამოსყიდვის უფლებით;

**ბ) აპლიკანტი ოჯახი** – უფლებამოსილი პირი, მისი მეუღლე და მშობლებთან მუდმივად მცხოვრები შვილი/შვილები (მათი მეუღლეები) ან უფლებამოსილი პირის მშობლები და ბებია/ბაბუები, რომლებიც ცხოვრობენ ერთად, სხვა ოჯახისგან განცალკევებულ ფართზე.

**შენიშვნა:** ოჯახის შემადგენლობაში არ გაითვალისწინება:

- პირ(ებ)ი, რომელიც ოჯახთან ერთად ფაქტობრივად არ ცხოვრობს დასაქმების ან სხვა რაიმე მიზეზთა გამო, გარდა იმ პირებისა, რომლებიც დასაქმებულნი არიან საქართველოს სხვა რეგიონში ან უცხოეთში და მათი დასაქმებიდან მიღებული შემოსავლები ირიცხება აპლიკანტი ოჯახის რომელიმე წევრის საბანკო ანგარიშზე;

- სასჯელადსრულების დაწესებულებაში მყოფი პირი, გარდა ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული (5 წლამდე თვისუფლება აღკვეთილი) პირისა;

- ქვეყნის ფარგლებს გარეთ 12 თვეზე მეტი ხნით მყოფი პირი, გარდა იმ პირისა, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფება სასწავლებლად;

- სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი.

**გ) აპლიკანტი ოჯახის უფლებამოსილი პირი** - ოჯახის სრულწლოვანი ქმედუნარიანი წევრი ან ოჯახის კანონიერი წარმომადგენელი, რომელსაც ოჯახის დანარჩენი წევრები მიანიჭებენ უფლებამოსილებას წარმოადგინოს ოჯახი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან (პროგრამაში ჩართულ სხვა უფლებამოსილ ორგანიზაციასთან/პირთან) ურთიერთობაში ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობასთან დაკავშირებით;

**დ) სტაბილური სამუშაო** – დასაქმების ადგილი, საიდანაც პირი გარანტირებულად იღებს ფულად შემოსავალს, ხელფასის ან გამომუშავების სახით;

**ე) ძირითადი სამუშაო** – სამუშაო, რომელიც სტაბილურია, ხოლო რამდენიმე სტაბილური სამუშაოს არსებობის შემთხვევაში - ის, საიდანაც უფრო მეტი ანაზღაურება მიიღება;

**ვ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა** – საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა, რომელიც გამოიყენება (ან/და რომლის გამოყენებაც შესაძლებელია) მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის, მასზე არსებული საცხოვრებელი, სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებით ან მათ გარეშე;

**ზ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა** – საჯარო რეესტრში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა;

**2. შერჩევის კრიტერიუმები**

1. ხელმისაწვდომი საცხოვრისის აპლიკანტი ოჯახები ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) ოჯახის წევრების მოქალაქეობა;

ბ) ოჯახის წევრების რეგისტრაცია ბათუმში;

გ) ოჯახის ამჟამინდელი საცხოვრებლის (ბინა/სახლი) სტატუსი - ბინა/სახლი საკუთრებაში აქვს, ბინას/სახლს ქირაობს, ბინას/სახლს გირაობს, ცხოვრობს სხვა პირის (ნათესავის, არანათესავის, სახელმწიფოს) მიერ უსასყიდლოდ დათმობილ ბინაში/სახლში, ცხოვრობს არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართში;

- დ) ოჯახის სხვა უძრავი ქონება - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფლობა; კომერციული ფართის ფლობა;
- ე) ოჯახის ზომა (სულადობა);
- ვ) ოჯახის წევრების დასაქმების სტატუსი/სამუშაოს სტაბილურობა;
- ზ) ოჯახის შემოსავლები და შემოსავლის წყაროები;
- თ) ოჯახის (მისი წევრების) საბანკო ვალდებულებები;
- ი) ოჯახის წევრების სპეციალური სტატუსი - მრავალშვილიანი ოჯახი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ოჯახში, ახალდაქორწინებული წყვილი, მარჩენალდაკარგული, ომის ვეტერანი და სხვა;
- კ) საცხოვრებელი ბინის/სახლის მდგომარეობა;
- ლ) სუბიექტური ლოიალობა პროგრამის მოთხოვნების მიმართ;

2. პროგრამით სარგებლობის მინიმალური მოთხოვნები (თუ აპლიკანტი ოჯახი რომელიმე ერთ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, მისთვის ბინის გადაცემის შანსი ნულდება):

- ა) ოჯახის ყველა წევრი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე;
- ბ) ოჯახის ერთ სრულწლოვან წევრს მაინც უნდა ჰქონდეს რეგისტრაცია ბათუმში, სულ მცირე ერთი წელი მაინც;
- გ) ოჯახი არ უნდა ცხოვრობდეს ოჯახის უფლებამოსილი პირის ბებია-ბაბუის /მშობლის/ შვილის/შვილიშვილის კუთვნილ ბინაში/სახლში;
- დ) ოჯახს საკუთრებაში არ უნდა გააჩნდეს საცხოვრებლად ვარგისი ბინა/სახლი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ან კომერციული ფართი (რომლის ფართობი აღემატება 10 კვადრატულ მეტრს);
- ე) ოჯახი არ უნდა მიეკუთვნებოდეს სოციალურად დაუცველთა (მოწყვლადი) ჯგუფს, რომელთა მიმართაც სახელმწიფო იღებს ძირითადი დონორის ვალდებულებას;
- ვ) ოჯახის ერთ წევრს მაინც უნდა ჰქონდეს სტაბილური სამუშაო;
- ზ) ოჯახი, რომელიც ბინას გირაობს, გირაო არ უნდა შეადგენდეს ხელმისაწვდომი საცხოვრისის საერთო ღირებულების ნახევარზე მეტს;
- თ) ოჯახის შემოსავალი უნდა შეადგენდეს ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური შენატანის მინიმუმ ორმაგ ოდენობას;
- ი) ოჯახის საერთო შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს 1 სულიანი ოჯახებისთვის 1200 ლარს, 2 სულიანისთვის - 1800 ლარს, 3 სულიანისთვის - 2400 ლარს, ხოლო 4 და მეტ სულიანისთვის - 3000 ლარს.

3. ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის „იდეალური ტიპი“:

- ოჯახის ერთი წევრის რეგისტრაცია ქ. ბათუმში 25 და მეტი წლის განმავლობაში;
- სპეციალური სტატუსის მქონე შემდეგი პირების არსებობა ოჯახში: შშმ პირი, მარჩენალდაკარგული, მრავალშვილიანი, მარტოხელა დედა, ახალდაქორწინებული, ომის ვეტერანი;
- ოჯახში სტაბილურად ანაზღაურებადი სამუშაოს მქონე წევრების ყოფნა, როდესაც სტაბილური სამუშაო გრძელდება ორი და მეტი წლის განმავლობაში;
- ხელმისაწვდომი საცხოვრისის ყოველთვიური შენატანის მინიმუმისა და დადგენილი მაქსიმუმის საშუალო არითმეტიკულის ტოლფასი შემოსავალი ოჯახისთვის;
- ოჯახის მიერ საკუთარი ბიუჯეტიდან კომუნალური გადასახადების გადახდა;
- ქირით მცხოვრები ოჯახებისათვის, ქირის ოდენობა ხელმისაწვდომი საცხოვრისის ყოველთვიურ შენატანთან მიახლოებული ფასით და ქირის გადახდა შეფერხებების გარეშე;
- ოჯახი ცხოვრობს საცხოვრებელ სახლში, რომელიც დაზიანებულია.

4. ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის ადეკვატურ კანდიდატად ჩაითვლება ბათუმში დამკვიდრებული მრავალსულიანი ოჯახი, რომელსაც აქვს ძლიერი საჭიროება, თუმცა არ გააჩნია

საკუთარი საცხოვრებელი (არც სხვა უძრავი ქონება - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ან კომერციული ფართი), მისი წევრების სტაბილური სამსახურის შესაბამისად, სტაბილური, თუმცა საშუალო შემოსავლის წყალობით ზომიერ ფასად შეუძლია იქირაოს საცხოვრებელი, შეუფერხებლად გადაიხადოს ქირა და კომუნალური (ან სხვა) გადასახადები, არ გააჩნია საბანკო დავალიანება და ოჯახში ჰყავს სპეციალური სტატუსის მქონე პირი/პირები (შშმ პირი, მარჩენალდაკარგული, მრავალშვილიანი, ახალდაქორწინებული, ომის ვეტერანი და სხვა). ამასთან, ოჯახისთვის მისაღებია „ხელმისაწვდომი საცხოვრისით“ გათვალისწინებული პირობები.

„ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ ბენეფიციართა  
შერჩევის ინსტრუმენტი

სარეიტინგო ქულის სტრუქტურა

სარეიტინგო ქულა არის არაუარყოფითი რიცხვი. იმ ოჯახს აქვს უფრო მეტი უფლება ხელმისაწვდომ საცხოვრისზე, რომლის სარეიტინგო ქულაც მეტია. თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა უდრის 0-ს, მაშინ ის კარგავს უფლებას ხელმისაწვდომი საცხოვრისის მიღებაზე.

სარეიტინგო ქულა გამოითვლება ფორმულით:

$$Q = \text{int}(X_1 X_2 X_3 * 10000)$$

სადაც  $X_1$  არის გადახდისუნარიანობის ინდექსი,  $X_2$  - საჭიროების ინდექსი,  $X_3$  - გამფილტრავი თანამამრავლი, ხოლო  $\text{int}(a)$  არის ფუნქცია, რომელიც აგენერირებს  $a$  რიცხვის მთელ ნაწილს.

1. გადახდისუნარიანობის ინდექსის ( $X_1$ ) გამოთვლა

გადახდისუნარიანობის ინდექსი წარმოადგენს ოჯახის გადახდისუნარიანობის დონის შეფასებას. იგი არაუარყოფითი რიცხვია.

ითვლება, რომ ოჯახის გადახდისუნარიანობის დონე მით უფრო მაღალია, რაც უფრო მეტია გადახდისუნარიანობის ინდექსი.

გადახდისუნარიანობის ინდექსი წარმოადგენს ხუთი შესაკრების ჯამს:

$$X_1 = k_{11}X_{11} + k_{12}X_{12} + k_{13}X_{13} + k_{14}X_{14} + k_{15}X_{15}$$

სადაც

$X_{11}$  არის შემოსავლის ინდექსი;

$X_{12}$  - დასაქმების ინდექსი;

$X_{13}$  - სტაბილური დასაქმების ინდექსი;

$X_{14}$  - გადასახადების ინდექსი;

$X_{15}$  - ბინის ქირის ინდექსი.

თითოეული ინდექსი იღებს მნიშვნელობებს 0-დან 1-მდე დიაპაზონში.

$k_{11}, k_{12}, k_{13}, k_{14}$  და  $k_{15}$  წარმოადგენენ ინდექსების კოეფიციენტებს.

### 1.1. შემოსავლის ინდექსი

ოჯახის დეკლარაციის საფუძველზე უნდა გამოვთვალოთ ოჯახის ყველა წევრის ჯამური შემოსავალი თვეში როგორც ძირითადი საქმიანობიდან (კითხვა C4), ასევე არაძირითადი საქმიანობიდან (კითხვა C5). გარდა ამისა უნდა დავითვალოთ სხვა წყაროებიდან მიღებული ჯამური ფულადი შემოსავლები ერთ თვეზე გადაანგარიშებით (C9 კითხვების პასუხებს დამატებული C10 კითხვების პასუხების 1/12). ოთხივე წყაროდან მიღებული ჯამური თანხა აღვნიშნოთ  $Y_{11}$ -ით.

ოჯახის შემოსავლების ინდექსი გამოითვლება ფორმულით:

$$X_{11} = (Y_{11} - a)(b - Y_{11}) / \frac{(b - a)^2}{4}$$

სადაც

$a$  არის ბინის გადასახადის ყოველთვიური შენატანის ორმაგი ოდენობა, ხოლო  $b$  - ოჯახის შემოსავლის დადგენილი მაქსიმუმი.  $a$  და  $b$ -ს მნიშვნელობები, რომლებიც დამოკიდებულია ოჯახის ზომაზე, მოცემულია ცხრილში 1:

ცხრილი 1.

ოჯახის ზომა	1	2	3	4	≥5
ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური შენატანის ორმაგი ოდენობა - $a$	დასადგენია	დასადგენია	დასადგენია	დასადგენია	დასადგენია
- ოჯახის შემოსავლის დადგენილი მაქსიმუმი - $b$	1200	1800	2400	3000	3000

თუ ოჯახის შემოსავალი ნაკლებია ბინის გადასახადის ყოველთვიური შენატანის ორმაგ ოდენობაზე ან მეტია ოჯახის შემოსავლის დადგენილ მაქსიმუმზე, მაშინ შემოსავლების ინდექსი ნულის ტოლია.

### 1.2. დასაქმების ინდექსი

დასაქმების ინდექსი დამოკიდებულია ოჯახში დასაქმებულ წევრთა რაოდენობაზე. ოჯახის წევრი ითვლება დასაქმებულად, თუ C4 და C5 კითხვიდან ჩანს, რომ მას შემოსავალი აქვს ან C1 კითხვაზე უპასუხა, რომ დაკავებული იყო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით (კოდი 8) და C10 კითხვიდან ჩანს, რომ წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონდათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან.

თუ დასაქმებულ წევრთა რაოდენობა ოჯახში არის  $d$ , მაშინ დასაქმების ინდექსი გამოითვლება ფორმულით:

$$X_{12} = \left(1 - \frac{1}{d+1}\right)^2 \frac{121}{100}$$

### 1.3. სტაბილური დასაქმების ინდექსი

სტაბილური დასაქმების ინდექსი დამოკიდებულია ოჯახში სტაბილური დასაქმების მქონე წევრთა რაოდენობაზე სულ ცოტა ბოლო ორი წლის განმავლობაში. იგი იღებს მნიშვნელობას 0-დან 1-მდე.

ითვლება, რომ ოჯახის წევრი დასაქმებულია სტაბილურად თუ მას აქვს საკუთარი ბიზნესი, ან ეწევა ინდივიდუალურ საქმიანობას (ხელოსნობა, ვაჭრობა, კერვა, მგზავრების გადაყვანა, ტვირთის გადაზიდვა, რეპეტიტორობა და სხვ.) ან მუშაობდა კერძო ან სახელმწიფო დაწესებულებაში ხელფასზე (C2 კითხვაში პასუხის კოდია 1, 2 ან 3, ხოლო C3 კითხვაში დასაქმების წელთა რაოდენობაში მითითებული აქვს 2-ზე მეტი რიცხვი).

ვთქვათ, ოჯახში S წევრია ისეთი, რომელიც დასაქმებულია სტაბილურად ბოლო 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში უწყვეტად. ოჯახის სტაბილური დასაქმების ინდექსი გამოითვლება ფორმულით:

$$X_{13} = \left(1 - \frac{1}{S+1}\right)^2 \frac{121}{100}$$

### 1.4. გადასახადების ინდექსი

გადასახადების ინდექსი დამოკიდებულია იმაზე იხდის თუ არა ოჯახი კომუნალურ გადასახადებს. ეს არის დიქოტომური ცვლადი, რომელიც იღებს მნიშვნელობას 1 თუ ოჯახი იხდიდა გადასახადებს<sup>1</sup>, და მნიშვნელობას 0 - წინააღმდეგ შემთხვევაში.

$$X_{14} = \text{sign}(D_{12} + D_{22} + D_{32} + D_{42})$$

სადაც,

$$\text{sign}(x) = \begin{cases} 1, & \text{თუ } x > 0, \\ 0, & \text{თუ } x = 0, \\ -1, & \text{თუ } x < 0, \end{cases}$$

### 1.5. ბინის ქირის ინდექსი

ბინის ქირის ინდექსი არის დიქოტომური ცვლადი, რომელიც იღებს მნიშვნელობას 1 თუ ოჯახი სტაბილურად იხდის ბინის ქირას, მნიშვნელობას 0 - წინააღმდეგ შემთხვევაში (არ იხდის ან არასტაბილურად იხდის ბინის ქირას):

$$X_{15} = I_1(F5)$$

<sup>1</sup>ანუ, ერთ-ერთ გრაფაში D12, D22 D32 და D42 უჯრებში წერია დადებითი რიცხვი



$I_k(A)$  არის  $A$  კითხვის ინდიკატორ ფუნქცია:  $I_k(A)=1$ , თუ  $A$  კითხვის პასუხის კოდი უდრის  $k$ -ს და  $I_k(A)=0$  წინააღმდეგ შემთხვევაში.

## 2. საჭიროების ინდექსის ( $X_2$ ) გამოთვლა

საჭიროების ინდექსი არის რიცხვი, რომელიც გამოხატავს თუ რამდენად დიდია ოჯახის მიერ ხელმისაწვდომი საცხოვრისის მიღების საჭიროება. საჭიროების ინდექსი არაუარყოფითი რიცხვია. ითვლება, რომ იმ ოჯახს აქვს ბინის მიღების საჭიროება უფრო მეტი, ვისი საჭიროების ინდექსიც მეტია.

საჭიროების ინდექსი წარმოადგენს 10 შესაკრების ჯამს:

$$X_2 = k_{21}X_{21} + k_{22}X_{22} + k_{23}X_{23} + k_{24}X_{24} + k_{25}X_{25} + k_{26}X_{26} + k_{27}X_{27} + k_{28}X_{28} + k_{29}X_{29} + k_{210}X_{210}$$

სადაც  $X_{21}$  არის უბინაობის წლების ინდექსი,

$X_{22}$ -ბათუმში რეგისტრაციის წლების ინდექსი

$X_{23}$ -წევრთა რაოდენობის ინდექსი

$X_{24}$ -მკვეთრად გამოხატულ შშმ პირთა რაოდენობის ინდექსი

$X_{25}$ - ზომიერად გამოხატულ შშმ პირთა რაოდენობის ინდექსი

$X_{26}$ - ოჯახში ახალდაქორწინებულ წყვილთა არსებობის ინდექსი

$X_{27}$ - სხვადასხვა კატეგორიის წევრთა რაოდენობის ინდექსი

$X_{28}$ - ბინის გადაცემის პირობების მისაღებლობის ინდექსი

$X_{29}$ - საცხოვრისის მდგომარეობის ინდექსი

$X_{210}$ - ოჯახის ქირით ცხოვრების ინდექსი.

თითოეული  $X_{2j}$ ,  $j=1,2,\dots,10$ , ინდექსი იღებს მნიშვნელობებს 0-დან 1-მდე დიაპაზონში.

$k_{2j}$ ,  $j=1,2,\dots,10$  წარმოადგენენ ინდექსების კოეფიციენტებს.

### 2.1. უბინაობის წლების ინდექსი

რამდენი წელია ოჯახი უბინაოდაა შეგვიძლია დავადგინოთ  $E2$  კითხვიდან. უბინაობის წლების ინდექსი გამოითვლება ფორმულით:

$$X_{21} = \begin{cases} 0, & \text{თუ } E2 < 4 \\ \left(1 - \frac{1}{E2 - 3}\right)^2 \frac{484}{441}, & \text{თუ } 4 \leq E2 \leq 25 \\ 1, & \text{თუ } E2 > 25 \end{cases}$$

## 2.2. ბათუმში რეგისტრაციის წლების ინდექსი

რამდენი წელია, რაც ოჯახის წევრი რეგისტრირებულია ბათუმში შეგვიძლია გავიგოთ B11 კითხვიდან. თუ ბათუმში ყველაზე უფრო ხანგრძლივად რეგისტრირებული ოჯახის წევრი R წლის განმავლობაშია რეგისტრირებული, მაშინ ბათუმში რეგისტრაციის წლების ინდექსი გამოითვლება ფორმულით:

$$X_{22} = \begin{cases} 0, & \text{თუ } R < 14, \\ \left(1 - \frac{1}{R-13}\right)^2 \frac{484}{441}, & \text{თუ } 14 \leq R \leq 25 \\ 1, & \text{თუ } R > 25 \end{cases}$$

## 2.3. წევრთა რაოდენობის ინდექსი

ოჯახის წევრთა რაოდენობა შეგვიძლია ავიღოთ B2 კითხვიდან. წევრთა რაოდენობის ინდექსი გამოითვლება ფორმულით:

$$X_{23} = \begin{cases} 0, & \text{თუ } B2 < 1, \\ \left(1 - \frac{1}{B2}\right)^2 \frac{144}{121}, & \text{თუ } 1 \leq B2 \leq 12 \\ 1, & \text{თუ } B2 > 12 \end{cases}$$

## 2.4. მკვეთრად გამოხატულ შშმ პირთა რაოდენობის ინდექსი

ოჯახში მკვეთრად გამოხატულ შშმ პირთა და შშმ ბავშვთა რაოდენობა შეგვიძლია დავადგინოთ B9 კითხვიდან (კოდები 1 და 3).

თუ ოჯახში მკვეთრად გამოხატულ შშმ პირთა და შშმ ბავშვთა საერთო რაოდენობა არის m, მაშინ

$$X_{24} = \begin{cases} 0, & \text{თუ } m < 1, \\ \left(1 - \frac{1}{m+1}\right)^2 \frac{25}{16}, & \text{თუ } 1 \leq m \leq 4 \\ 1, & \text{თუ } m > 4 \end{cases}$$

## 2.5. ზომიერად გამოხატულ შშმ პირთა რაოდენობის ინდექსი

ოჯახში ზომიერად გამოხატულ შშმ პირთა რაოდენობა შეგვიძლია დავადგინოთ B9 კითხვიდან (კოდი 2).

თუ ოჯახში ზომიერად გამოხატულ შშმ პირთა საერთო რაოდენობა არის  $z$ , მაშინ

$$X_{25} = \begin{cases} 0, & \text{თუ } z < 1, \\ (1 - \frac{1}{z+1})^2 \frac{25}{16}, & \text{თუ } 1 \leq z \leq 4 \\ 1, & \text{თუ } z > 4 \end{cases}$$

## 2.6. ოჯახში ახალდაქორწინებულ წყვილთა არსებობის ინდექსი

ახალდაქორწინებული წყვილის არსებობა ოჯახში შეიძლება დავადგინოთ B9 კითხვიდან (კოდი 10). ახალდაქორწინებულ წყვილთა არსებობის ინდექსი არის დიქტომური ცვლადი:  $X_{26} = 1$ , თუ ოჯახში არის ახალდაქორწინებული წყვილი და  $X_{26} = 0$ , წინააღმდეგ შემთხვევაში.

## 2.7. სხვადასხვა კატეგორიის წევრთა რაოდენობის ინდექსი

ოჯახში სხვადასხვა რაოდენობის პირთა რაოდენობა შეგვიძლია დავადგინოთ B9 კითხვიდან (კოდები 4,5,6,7,9,11).

თუ ოჯახში სხვადასხვა რაოდენობის პირთა საერთო რაოდენობა არის  $k$ , მაშინ

$$X_{27} = \begin{cases} 0, & \text{თუ } k < 1, \\ (1 - \frac{1}{k+1})^2 \frac{169}{144}, & \text{თუ } 1 \leq k \leq 12 \\ 1, & \text{თუ } k > 12 \end{cases}$$

## 2.8. ბინის გადაცემის პირობების მისაღებლობის ინდექსი

რამდენად მისაღებია ის პირობები, რაც დაწესებულია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის შეგვიძლია გავიგოთ G1 კითხვიდან.

ბინის გადაცემის პირობების მისაღებლობის ინდექსი გამოითვლება ფორმულით:

$$X_{28} = I_4(G1) + 0.5I_3(G1)$$

სადაც  $I_k(A)$  არის  $A$  კითხვის ინდიკატორის ფუნქცია:  $I_k(A)=1$ , თუ  $A$  კითხვის პასუხის კოდი უდრის  $k$ -ს და  $I_k(A)=0$  წინააღმდეგ შემთხვევაში.

## 2.9. საცხოვრისის მდგომარეობის ინდექსი

ოჯახის ამჟამინდელი საცხოვრისის მდგომარეობა შეგვიძლია გავიგოთ F6 კითხვიდან.

საცხოვრისის მდგომარეობის ინდექსი გამოითვლება ფორმულით:

$$X_{29} = I_5(F6) + 0.5I_4(F6)$$

სადაც  $I_k(A)$  არის A კითხვის ინდიკატორის ფუნქცია:  $I_k(A)=1$ , თუ A კითხვის პასუხის კოდი უდრის k-ს და  $I_k(A)=0$  წინააღმდეგ შემთხვევაში.

## 2.10. ოჯახის ქირით ცხოვრების ინდექსი

რამდენი წელია ოჯახი ქირით ცხოვრობს შეგვიძლია დავადგინოთ F4 კითხვიდან. ქირით ცხოვრების ინდექსი გამოითვლება ფორმულით

$$X_{210} = \begin{cases} 0, & \text{თუ } F4 < 3, \\ \left(1 - \frac{1}{F4 - 2}\right)^2 \frac{169}{144}, & \text{თუ } 3 \leq F4 \leq 25 \\ 1, & \text{თუ } F4 > 25 \end{cases}$$

## 3. გამფილტრავი კომპონენტი ( $X_3$ )

გამფილტრავი კომპონენტი წარმოადგენს ათი თანამამრავლის ნამრავლს, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს დიქტომურ ცვლადს. თუ რომელიმე თანამამრავლი ნულის ტოლია, მაშინ გამფილტრავი კომპონენტი და შესაბამისად სარეიტინგო ქულა ხდება ნული და ოჯახი კარგავს უფლებას გახდეს პროგრამის ბენეფიციარი.

ქვემოთ ჩამოთვლილია ის შემთხვევები, როდესაც თითოეული თანამამრავლი ხდება ნულის ტოლი.

$X_{31}$  – ოჯახში ცხოვრობს წევრი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე;

$X_{32}$  – ოჯახის არც ერთი სრულწლოვანი წევრი არ არის რეგისტრირებული ბათუმში სულ ცოტა 1 წლის განმავლობაში.

$X_{33}$  – ოჯახის წევრ(ებ)ს აქვს უძრავი ქონება ან არასასოფლო-სამეურნეო მიწა ან არაკომერციული ფართი 10კვ.მ.-ზე მეტი ფართობის.

$X_{34}$  – ოჯახი ცხოვრობს ოჯახის უფლებამოსილი პირის მშობლის/შვილის/ზაბუის/ზებიის კუთვნილ სახლში.

$X_{35}$  – ოჯახის წევრების ჯამური შემოსავალი თვეში ნაკლებია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის ორმაგ ოდენობაზე (ცხრილი1-დან).

X<sub>36</sub> – ოჯახის წევრების ჯამური შემოსავალი თვეში მეტია ამ ზომის ოჯახისათვის დაწესებულ მაქსიმუმზე (ცხრილი 1-დან).

X<sub>37</sub> – ოჯახს დაქირავებული აქვს ბინა, რომლის ყოველთვიური გადასახადიც მეტია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის ორმაგ ოდენობაზე (ცხრილი 1-დან).

X<sub>38</sub> – ოჯახის მიერ დაქირავებული ბინის საფასური აღემატება ხელმისაწვდომი საცხოვრისის ღირებულების ნახევარს.

X<sub>39</sub> – ბინის გადაცემის პირობები ოჯახისათვის მიუღებელია (G1 კითხვაში კოდები 1 და 2).

X<sub>310</sub> - ოჯახის მიერ ანკეტაში დაფიქსირებულ ინფორმაციაში აღმოჩნდა სიყალბე.

#### 4. ინდექსების კოეფიციენტები

k11	k12	k13	k14	k15	k21	k22	k23	k24	k25	k26	k27	k28	k29	k210
1	0.8	0.6	0.4	0.2	1	0.8	0.7	0.6	0.5	0.4	0.3	0.9	0.2	0.1